ხელშეკრულება № 11

ქ. ქობულეთი 26 დეკემბერი 2016წ.

შესყიდვების შესახებ

ერთის მხრივ ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა, (მის: ქობულეთი აღმაშენებლის 267) მისი დირექტორის ზურაბ კახიძის სახით, შემდგომში " შემსყიდველი " და მეორეს მხრივ შპს „ლაშვარდი" მისი დირექტორის ფრიდონ მგელაძის სახით (მის: ქ.ბათუმი, ლეონიძის ქ. 6 ა/21 ) სახით, შემდგომში " მიმწოდებელი " დადეს ხელშეკრულება შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯიდან, ცეცხლმაქრი საშუალებების შესყიდვა.

1.2. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე „მიმწოდებელი" თანახმაა მიაწოდოს „შემსყიდველს" ცეცხლმაქრი საშუალებები (კოდი CPV -35100000) ხოლო „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას მიიღოს მოთხოვნილი საქონელი და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით, საბიუჯეტო სახსრებით.

1.3. მთლიანი სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 540 (ხუთასორმოცი) ლარს.

1.4. შესყიდვის ობიექტის სახეობა, რაოდენობა და ერთეულის ფასი განისაზღვრება ფორმა № 3 –ის მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

## 2. საქონლის მიღება – ჩაბარება

2.1. "საქონელი" ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სასაქონლო ზედნადების წარმოდგენის და მიღება ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

2.2. მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლის სპეციალისტი სამეურნეო დარგში ვახტანგ ქობულაძე .

2.3. საქონლის ან მისი ნაწილის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

## 3. ანგარისწორება

3.1 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხორციელდება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მიწოდებულ საქონელზე სასაქონლო ზედნადების და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე. წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

3.3 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში.

## 4. სადაო საკითხების გადაწყვეტა

4.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

4.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში დამკვეთი და შემსრულებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს შეუძლია დადგენილი წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

## 5. გამოყენებული სამართალი

5.1 ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

## 6. ფორს-მაჟორი

6.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

6.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისთვის გადასალახავ და მათი კონტროლისაგან დამოკიდებულ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან.

## 7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორების გარდა.

7.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

7.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

## 8. შეტყობინება

14.1 ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე ხელშეკრულების შესაბამისად უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, დეპეშის, ტელექსის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

14.2 შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

## 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბის ჩათვლით.

9.2 ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად, ინახება ხელშეკრულების მონაწილე მხარეებთან და ორივე მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

## 10. გადასახადები და ბაჟები

10.1 მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, ბეგარის, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე.

## მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

| „შემსყიდველი" | „მიმწოდებელი" |
|---|---|
| ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა<br>ს/კ: 247007135<br>სახელმწიფო ხაზინა<br>დირექტორი: /ზ. კახიძე /<br>AJIP COMPLEX SP. SCHOOL • GEORGIA 247007135 | შპს „ ლაშვარდი "<br>ს/კ: 245619763<br>ა/ნ: **GE37BG0000000131808400**<br>სს „ საქართველოს ბანკი "<br>ბანკის კოდი: **BAGAGE22**<br>დირექტორი: /ფ.მგელაძე/ |

ინფორმაცია

რაოდენობისა და ფასების შესახებ

ფორმა № 3

**ცეცხლმაქრი საქონლის ხარჯი**

| № | საქონლის დასახელება | ზომის ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | თანხა |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ცეცხლმაქრი ნახშიროუანგოვანი оу-2 | ცალი | 2 | 120 | 240 ლარი |
| 2 | ცეცხლმაქრი ფხვნილოვანი ABCE- 5 კგ. | ცალი | 3 | 100 | 300 ლარი |
| | სულ | | | | 540 ლარი |

შპს " ლაშვარდი"-ს დირექტორი ფ.მგელაძე